საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 242/01
12/01/2021

242-01-2-202101121756

შპს „გიო-10"-ს
მის: ქ. ბათუმი, ალ. გრიბოედოვის ქ. N38, ბ N23
ელ. ფოსტა: ritabolqvadze@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადება (N15941; 08.10.2020), რომელიც ეხება ქ. ბათუმში პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის მილების დამამზადებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის სამინისტროს მიერ 2020 წლის 1 ივნისის N4934/01 წერილით მოთხოვნილი სრულყოფილი ინფორმაცია, მათ შორის არ არის წარმოდგენილი:

- გენერალური გეგმა, კერძოდ წარმოდგენილია 2013 წლის (ძველი) საკადასტრო გეგმა, რომელზეც დატანილია გაფრქვევის წყაროები. შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიის სრულყოფილი გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება საწარმოს დანადგარები, ტექნოლოგიური მოწყობილობები, ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები, შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში სიტუაციურ სქემაზე მოცემული უნდა იყოს მანძილები უშუალოდ საწარმოს საამქროებიდან უახლოეს მოსახლემდე დაზუსტებული GPS კოორდინატების მითითებით;
- ვინაიდან საწარმოს ტერიტორია მდებარეობს დასახლებული პუნქტისა და საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს (უახლოესი საცხოვრებელი სახლი სამხრეთით-3მ, აღმოსავლეთით-15მ), საჭიროა სამინისტროში წარმოდგენილ იქნეს საწარმოს გავლენის ზონაში, საწარმოს განთავსების ტერიტორიის საკადასტრო საზღვართან უშუალო სიახლოვეს არსებულ მოსახლეობასთან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით კომუნიკაციის (ასევე მათთან შეთანხმების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტი;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის დეტალური გეგმა, სადაც მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხი უახლოეს მოსახლესთან (მონიტორინგის სიხშირისა და კოორდინატების მითითებით);
- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს სუნის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებების (სუნის წარმოქმნასთან დაკავშირებული დანადგარების გათვალისწინებით) დეტალური გეგმა;
- დამატებით ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნას განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტი (მოქმედების ვადით 2021-2026 წწ);
- გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად არაა წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენებისა და ნედლეულის ტრანსპორტირების საკითხები; გამოყენებული ავტოტრანსპორტის მახასიათებლები (ძარის ტიპი, ტვირთამწეობა, ა.შ.); ავტოტრანსპორტის მოძრაობის სქემა; სატრანპორტო ოპერაციების რაოდენობა; ამასთან გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ტრანსპორტირების სქემისა და გეგმა-გრაფიკის შესახებ მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის და აღნიშნულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის პოზიციის შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ღამის საათებში ტრანსპორტირების აკრძალვის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება (სადაც მითითებული იქნება ხმაურწარმომქმნელი დანადგარებიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს მოსახლემდე) და მოდელირება, ასევე არ არის მოცემული საწარმოში არსებული ხმაურის წყაროების (დანადგარების) საპასპორტო მონაცემები. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი საწარმოს მისამართი ემთხვევა საჯარო რეესტრის 2017 წლის ამონაწერს, ამასთან გზშ-ის ანგარიშზე თანდართულია ამონაწერი, სადაც საწარმოს მისამართი განახლებულია. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი საწარმოს ტერიტორიის საკუთრების დამადასტურებელი საიჯარო ხელშეკრულება ძალაში იყო 01.01.2020-დან 31.12.2020 წლამდე. შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი უფლების დამადასტურებელი განახლებული დოკუმენტი;
- გზშ-ის ანგარიშშის თანახმად, საწარმოს ტექნოლოგიური სქემის მიხედვით არ ხდება ნედლეულის რეცხვა და საწარმოო მიზნებისთვის წყლის გამოყენება. შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებული უნდა იქნას, რომ კომპანია ახორციელებს მხოლოდ გრანულირებული სახის ან გასუფთავებული (გარეცხილი) და დაქუცმაცებული და შესაბამისად შეფუთული პლასტმასის ნარჩენების იმპორტს;

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული

ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე